პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 33 (4543)
1972 წ. 16 თებერვალი, ოთხშაბათი.
ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**8:8**

**5:2**

## უძლიერესი მოყვარულთა შორის



მ ჭვანე კონტინენტის ჩოგბურთელებს ბევრჯერ მოუპოვებიათ გამარჯვება, ბევრჯერ გასულან საპრიზო ადგილებზე უდიდეს შეჯიბრებებში. ჩათ ყველაზე ხშირად მოუგიათ დევისის თასი — მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატი, ყველა თანრიგში დაუსაკუთრებიათ გამარჯვება უიმბლდონის სახელგანთქმულ ტურნირში, რომელიც ასევე მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად ითვლება ბალახის კორტებზე. ამიტომ ავსტრალიელ ჩოგბურთელთა ყოველი მარცხი, მიუხედავად მათი რანგისა, ერთგვარ სენსაციად მიაჩნიათ.

ავსტრალიაში ჩოგბურთის დიდ პოპულარობას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ქვეყნის ყოველი მეოთხე მცხოვრები ამ თამაშითაა გატაცებული.

როგორც ყველა სპორტსმენს, ავსტრალიელებსაც განსაკუთრებით შინ წაგება არ უყვართ. მაგრამ, როგორც იტყვიან, ძალა აღმართსა ხნავს. ეს ბრწყინვალედ დაამტკიცა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სსრ კავშირისა და ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა. იგი რამდენიმეჯერ გამოსულა ავსტრალიაში, მაგრამ განსაკუთრებული ტრიუმფი წლეულს ხვდა წილად. ქართველმა სპორტსმენმა მონაწილეობა მიიღო ეგრეთ წოდებულ ავსტრალიურ ცირკუსში, რომლის პროგრამაც მოიცავს ექვს ტრადიციულ ტურნირს — ავსტრალიის ხუთი შტატისა და ქვეყნის ღია ჩემპიონატებს. აქედან ხუთ შეჯიბრებაში მეტრეველმა დაძლია როგორც კორტის მასპინძლების, ისე უცხოელი სტუმრების ძლიერი მეტოქეობა. მას მხოლოდ ერთ ტურნირში მოეცარა ხელი — II ადგილზე გავიდა.

აღსანიშნავია, რომ დიდი ავსტრალიური ცირკუსის არსებობის 25 წლის მანძილზე ჯერ არც ერთ ჩოგბურთელს არ მიუღწევია ასეთი წარმატებისთვის.

ავტორიტეტულმა კომისიამ გამოჩენილი სპეციალისტებისა და ჟურნალისტების შემადგენლობით ალექსანდრე მეტრეველი მოყვარულთა შორის ავსტრალიის პირველ ჩოგნად და მსოფლიოში უძლიერესად დაასახელა.

ავსტრალიის კორტებზე წარმატებით გამოვიდა სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი, მეტრეველის მუდმივი პარტნიორი, მოსკოველი ო. მოროზოვაც. იგი II ადგილზე იყო ორ ტურნირში, რომლებშიც უიმბლდონის ჩემპიონი, ავსტრალიელი ი. გულაგონგიც მონაწილეობდა. ორ სხვა შეჯიბრებაში, სადაც გულაგონგი არ გამოდიოდა, საბჭოთა ჩოგბურთელს პირველობა ხვდა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საბჭოთა ჩემპიონების ასპარეზობამ შერეულ წყვილთა თანრიგში, სადაც მათ გულაგონგისა და კეისის დამარცხება შეძლეს.

საბჭოთა ჩოგბურთელების ოსტატობის ნახვის მსურველი ბევრზე ბევრი იყო. მაგალითად, ცალკეულ მატჩებს მეტრეველის მონაწილეობით 20 ათასამდე მაყურებელი ესწრებოდა. ეს შეხვედრები ტელევიზიით გადაიცა ავსტრალიაში, აგრეთვე, თანამგზავრის საშუალებით — ამერიკასა და აფრიკაში.

* * *

სურათზე: ა. მეტრეველი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

● ტალინი, 14 თებერვალი. ისევ ყაიმების გზით გრძელდება ა. ანდრეიკო (რიგა) — ი. კუპერმანის (კიევი) მატჩი მსოფლიო პირველობაზე ასუჯრიან შაშში: დღეს გამართული XVI პარტიაც ზავით დასრულდა. ამრიგად, ანგარიში გახდა 8:8.



სურათზე: ი. კუპერმანი (მარცხნივ) და ა. ანდრეიკო.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

● ერევანი, 14 თებერვალი. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეთა დასკვნითი, მესამე მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 5:2. პირველი ქულა მათ უბრძოლველად მიიღეს: სწორედ შეჯიბრების წინ ავად გახდა გ. ლუისი (მეორე უმჩატესი წონა). ძალიან მაღალტექნიკურად იბრძოლა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონმა, ასტრახანელმა ბ. კუზნეცოვმა (ქვემსუბუქი), რომელმაც რ. ვასკოკუს სძლია: ამერიკელი მოკრივის სეკუნდანტმა მეორე რაუნდში ორთაბრძოლის შეწყვეტა მოითხოვა. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონმა, ერევნელმა ს. კაზარიანმა (პირველი ქვესაშუალო) ქულებით აჯობა ჰ. მუნიცს. ა. ბერეზიუკმა (მეორე ქვესაშუალო) პირველ და მეორე რაუნდებში ნოკდაუნში გაგზავნა ლ. კარლაინი, მაგრამ ამერიკელ მოკრივეს ვაჟკაცურად ეჭირა თავი და ორთაბრძოლა მხოლოდ ქულებით წააგო. სტუმრებს პირველი გამარჯვება მ. ჯონსონმა მოუტანა, როცა ქულებით სძლია ევროპის იუნიორთა ჩემპიონს, მოსკოველ ვ. ლემეშევს (მეორე საშუალო). მძიმე წონაში ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონმა დ. ბობიკმა მესამე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო ერევნელი კ. საროიანი. ამერიკელი ლ. სლოუტერი (ქვემძიმე) დისკვალიფიცირებული იქნა ვოლგოგრადელ ი. ნესტეროვთან შეხვედრაში ტექნიკური მოუმზადებლობისთვის.



მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლე. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური ტრადიციული საერთაშორისო მატჩი.

სურათზე: 57 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის წარმომადგენელთა — ვ. სოკოლოვისა (სსრ კავშირი) და რ. ტეილორის (აშშ) შეხვედრის მომენტი. აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა სოკოლოვმა (მარჯვნივ).

ვ. უნ და-სინისა და ვ. შანდრინის ფოტო (საკდესი).

### დღეს ნომერში:

ავსტრალიელი სპეციალისტები მოაჯადოვა ა. მეტრეველის თამაშმა — 1-ლი გვ.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდის მორიგი წარმატება — მე-3 გვ.

### ჩვენი ძმადი რესპუბლიკები

## ჩემპიონი ქოროგში დაბრუნდება

25 წლის შ. კადამშოევი სავსებით კმაყოფილია 1972 წლის პირველი თვეებით. ტაჯიკეთის დედაქალაქის ძალოსანთა პირველობაში მან არა მარტო სამი ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა უმჩატეს წონაში, არამედ სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. პამირის მაღალმთიანი დაბების ძალოსნებს შორის კადამშოევმა პირველმა მიაღწია ოსტატის მიჯნას.

ათლეტის სპორტული სტაჟი შედარებით პატარაა. ფოლადის გრიფს მან ამ ოთხი წლის წინ, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მოჰკიდა ხელი. საქმე კარგად წავიდა, რადგან მომავალი ძალოსანი ფიზიკურად სათანადოდ იყო მომზადებული, ხალხურ ჭიდაობასა და აკრობატიკაში ვარჯიშობდა.

ამჟამად მთიანი ბადახშანის მკვიდრი ზეინკლად მუშაობს დუშანბეს საფეიქრო კომბინატში და დაუსწრებლად სწავლობს ტაჯიკეთის ფიზკულტურის ინსტიტუტში. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკის რეკორდსმენი ოცნებობს ქოროგში დაბრუნებას, რათა სპორტის საყვარელ სახეობას ახალგაზრდებს შორის პროპაგანდა გაუწიოს.

დუშანბე.

(საკდესის კორ.).

## საპოროში გამარჯვების ექო

ბონი, 14 თებერვალი. „ყველაზე მეტი მედალი სსრ კავშირმა მოიპოვა“ („ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“), „საბჭოთა ჰოკეისტების დამაჯერებელი გამარჯვება ოლიმპიადის ბოლო დღეს“ („ნოიე რაინ-ცაიტუნგი“), — დასავლეთ გერმანიის გაზეთები ასეთი სათაურებით იუწყებიან საპოროში გამართული ზამთრის ოლიმპიური თამაშების შედეგებს. გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ ხოტბას ასხამს გალინა კულაკოვას სპორტულ ოსტატობას და გამარჯვებისკენ სწრაფვას. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს სპორტსმენი სენსაციებს არ ეტანება, შეუპოვარი ვარჯიშით აღწევს იმდენად დამაჯერებელ გამარჯვებას, რომ მას თამამად შეიძლება ეწოდოს მსოფლიოში ყველაზე სწრაფი მოთხილამურე ქალი.

ბევრი გაზეთი აღნიშნავს საბჭოთა ჰოკეისტთა რაზმეულის ლამაზ გამარჯვებას საპოროში. „შტუტგარტერ ცაიტუნგი“ აღტაცებას გამოთქვამს ანატოლი ფირსოვის თამაშის გამო ყველა მატჩში, ხოლო „ფრანკფურტერ ალგემაინე“ პირდაპირ წერს: „საბჭოთა ჰოკეის გამარჯვების გზას მსოფლიოში ვერავინ შეწყვეტს“.

„ვესტფელიშე რუნდშაუ“ აღნიშნავს საბჭოთა ფიგურისტების შესანიშნავ მომზადებას. იგი წერს, რომ ფიგურული ციგურაობის საბჭოთა სკოლა მისაბაძია სხვა ქვეყნებისთვის.

ზოგიერთი გაზეთი, კერძოდ, „ფრანკფურტერ ალგემაინე“ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საპოროში საბჭოთა მოციგურავეები წარუმატებლად გამოვიდნენ. გაზეთის აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ „რუსები კვლავ რბენის ძველებურ სტილს იცავენ, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებმა კი შეცვალეს იგი“.

ბერლინი, 14 თებერვალი. გდრ-ის პრესა დიდ ადგილს უთმობს ოლიმპიური თამაშების შედეგებს.

„ოლიმპიური თამაშები, — ხაზგასმით აღნიშნავს „ნოიეს დოიჩლანდი“, — საბჭოთა გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. სსრ კავშირის სპორტსმენთა უპირატესობა სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან შედარებით აშკარა იყო“.

პრესა განსაკუთრებით აქებს ვ. ვედენინს, გ. კულაკოვას, საბჭოთა ჰოკეისტებს და ფიგურული ციგურაობის ოსტატებს.

„შპორტ-ეხო“, ისევე როგორც სხვა გაზეთები, ვედენინის შედეგს სათხილამურო ესტაფეტაში იშვიათი ნებისყოფისა და ვაჟკაცობის მქონე სპორტსმენის ნამდვილ გმირობად მიიჩნევს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საპოროში პირველად გამოვიდა თავისი დროშით და მისი მეორე ადგილი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემდეგ ჭეშმარიტად სასიამოვნო სენსაციაა.

[illegible]

# კუმარონი — „დედოფლის" ხალიჩა

„სპორტის დედოფლისთვის" — მძლეოსნობისთვის — ახალი ხალიჩა მოამზადეს უზბეკეთის პატარა ქალაქ პაპში. აქ მიიღეს მასალა, რომელსაც შეუძლია ცნობილ ტარტანსაც კი გაუწიოს მეტოქეობა. მაგრამ რატომ მაინცდამაინც ქალაქ პაპში? სპორტთან რა კავშირშია რეზინა-ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა? იქნებ ეს შემთხვევით მოხდა?

— შემთხვევა რას ჰქვია! — შემოგვედავებათ ს. ზუბარევი. — ჩვენ ამ მასალის მისაღებად საგანგებოდ ვმუშაობდით.

ოლიმპიური 1968 წლიდან, როცა სინთეტურმა საფარებმა ხელი შეუწყო ფენომენალური რეკორდების დამყარებას, ანალოგიური მასალების ძებნა დაიწყო ტაშკენტელმა ინჟინერმა, სპორტის ოსტატმა ზუბარევმა. სწორედ შემთხვევითობით თუ შეიძლება აიხსნას პირველი მარცხი, რომელიც მას ორი წლის წინ შეემთხვა.

ზუბარევს უკვე ხელთ ჰქონდა ნიმუშები მასალისა, რომელიც ტარტანს წააგავდა. ეს მასალა ტაშკენტის რეზინა-ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში დაამზადეს. გამოცდა წარმატებით ჩატარდა. ტაშკენტში უკვე გზავნიდნენ დაკვეთებს მოსკოველები, ციმბირელები, ურალელები... მაგრამ, როგორც ჩანს, ქარხნის ხელმძღვანელობას ნებისყოფა არ ეყო და უარი თქვა ამ საიხლეზე. შეიძლება მას ქარაფშუტობადაც მიაჩნდა სპორტული სპეციალიზაცია.

მაგრამ ათასობით სტადიონი ახალ „ტანსაცმელს" ელოდა.

იძულებული გახდნენ ტაშკენტის „ფახთაქორი" რეზინა-ბიტუმის ნარევით დაეფარათ. მაგრამ ასეთი საფარი უკვე მოძველდა.

როცა ზუბარევმა შენიშნა ჰიდროიზოლის სწორი, თხელი, მკვრივი ზოლები, ამ მასალაში მან „სპორტული თვისებები" დაინახა. ინჟინერმა ქარხნის მისამართი გაიგო და პაპში ბედმა გაუღიმა.

ქარხნის დირექტორს მ. აქმედბაევას გეგმებთან დაკავშირებით ბევრი საზრუნავი ჰქონდა, მაგრამ ერთი საქმე მაინც კიდევ დაიმატა.

— ჰგავს თუ არა ჰიდროიზოლი თქვენს საფარებს? რით განსხვავდება? ვეცდებით გავაკეთოთ...

ჰიდროიზოლი მიიღეს საკავშირო ინსტიტუტში, რომელსაც „გიპროსტროიმატერიალი" ჰქვია. ისინი არც ეჭვობდნენ, რომ სადღაც სულ ახლოს იყო რეცეპტი ისეთი მასალისა, რომელსაც სპორტულ სამყაროში ელოდნენ. პაპის ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ს. სუტირინმა, ტექნოლოგმა ლ. ვიდნაიამ და სხვა სპეციალისტებმა ძიება დაიწყეს.

მეასე სინჯი, რომელიც ნ. სმირნოვმა აიღო, კარგი აღმოჩნდა.

— შეიძლება ვინმემ მოინდომოს ჩვენი ცდის გამეორება, — თქვა სუტირინმა, — გიკარნახებთ...

ერთ-ერთი კომპონენტი გახდა უვარგისი მასალა — ძველი საავტომობილო საბურავები, რომლებიც დიდი ჯაფის შემდეგ თავიანთ უნარს თითქოს უკვე „სწრაფ ბილიკზე" იჩენდნენ.

არმატურისგან გათავისუფლების შემდეგ საბურავებს ჭრიან და ფხვნილად აქცევენ. შემდეგ ზელენ. მაღალი ტემპერატურის დროს აქ დევულკანიზაცია ხდება. მერე მიღებულ მასას უმატებენ ყველაზე დაბალი ხარისხის აზბესტსა და ბიტუმს. მაგრამ მთავარი კუმარონის ფისია, რომელიც ნავთობის გამოხდისას მიიღება. ეს ნივთიერება ნარევს საჭირო სტრუქტურას ანიჭებს. სწორედ ამ ფისის პატივსაცემად დაარქვეს ახალ მასალას კუმარონი.

ხიახლეს სულ სხვადასხვა პირობებში ცდიდნენ — 25-გრადუსიან ყინვასა და 50-გრადუსიან სიცხეში, წყალსა და მტვერში. საფარი კი მორბენლის ფეხქვეშ ზამბარასავით იყო, „ხაოიანობაც" არ დაკარგა (ეს საჭიროა, რათა სპორტსმენს წვიმაში ფეხი არ დაუცდეს).

და აი, უკვე კუმარონის პირველ ზოლებს აფენენ ანდიჟანის „სპარტაკის" სტადიონის სარბენ ბილიკებზე.

ამრიგად გაჩნდა პერსპექტიული მასალა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. მარტო ენთუზიაზმი საკმარისი არ არის. პირველ ნიმუშებს „სხვათა შორის" ამზადებდნენ. ქარხანას კი თავისი საქმე აქვს. გაიზარდა ჰიდროიზოლის გამოშვების გეგმა — იგი მშენებლობაზე სჭირდებათ.

მაგრამ კუმარონზე კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო. აქამდე მხოლოდ ათმეტრიან ნაჭრებს იღებდნენ, კარგი იქნებოდა ორმოცდაათმეტრიანიც დაემზადებინათ. მოწყობილობა უკვე გამართულია ორმილიმეტრიანი სისქის ჰიდროიზოლის გამოსაშვებად, სტადიონებს კი თორმეტმილიმეტრიანი საფარი ესაჭიროებათ პირველი კუმარონი შავია, სასურველია სხვა ფერებიც: მწვანე, წითელი, ცისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი. ცხადია, ყოველივე ამის გაკეთება შეიძლება, თუ ქარხანას დახმარებას გაუწევენ მოწყობილობებით, მასალებით, რჩევა-დარიგებით და, რასაკვირველია, თუ კუმარონს გეგმაში შეიტანენ.

ეს არა მარტო საჭირო, არამედ სარფიანი ნაწარმიც იქნება. მას მოგების მოტანა შეუძლია. კუმარონის ბილიკებისა და სექტორების აგება, მათი მოვლა წიდოვან და რეზინა-ბიტუმის საფართან შედარებით ბევრად იაფია. საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ფერგანის პატარა ქალაქში მიღებული მასალა სხვა ქარხნების ნაკეთობებზე ეკონომიური იქნება. ამის გარანტიაა ხელმისაწვდომი ნედლეული და არც ისე რთული ტექნოლოგია.

ყველაზე დამაჯერებელი საბუთი კი ის არის, რომ კუმარონით შეიძლება დაიფაროს გზები ჯანმრთელობისა და რეკორდებისკენ.

ე. ეფიმოვი.

ტაშკენტი.

ჭადრაკი

# გაიმარჯვეს ოსტატობის კანდიდატებმა

სამტრედიაში დამთავრდა საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი, რომელშიც 5 ოსტატობის კანდიდატი და 9 პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს აფხაზეთის ჩემპიონმა ა. ტუზოვსკიმ (1 ადგილი, 12 ქულა), ქუთაისის ჩემპიონმა ა. რაზოვსკიმ და ბათუმელმა ლ. ნეურონოვმა (II-III, 11-11 ქულა).

სამივე მოჭადრაკემ კარგად ითამაშა. პირველმა ორმა ტურნირი წაუგებლად განვლო. ტუზოვსკი 25 წლისაა და მეცნიერულ მუშაობას ეწევა. ქუთაისელი ხარატი რაზოვსკი გამოცდილი მოთამაშეა და მისი წარმატება მოულოდნელი როდია. ნეურონოვმა მხოლოდ მძაფრი ფინიშით (ზედიზედ 7 პარტია მოიგო) გაინაღდა ფინალის საგზური.

შემდეგ ადგილებზე არიან: მ. არჩვაძე (სამტრედია) — 10 ქულა, რ. კაპანაძე (წყალტუბო) — 9, გ. შოგირაძე (ზუგდიდი) — 8,5, ა. მაჩიტაძე (სამტრედია) — 5, ო. დოლიძე (გორი), რ. შანიძე (სამტრედია) — 4,5-4,5, გ. ჭელიძე (წულუკიძე), რ. კეჭეყმაძე (მახარაძე) — 4-4, მ. ნოდია (ცხაკაია) — 3,5, გ. ჭალაღანიძე (გეგეჭკორი) — 2,5, თ. გახოკიძე (აბაშა) — 1,5.

ინჟინერი არჩვაძე ალბათ გადაიღალა საორგანიზაციო საქმეებით, რაც მის თამაშსაც დაეტყო. ფინიშზე მან უკეთეს მდგომარეობაში წააგო პარტია ტუზოვსკისთან.

პირველთანრიგოსნებიდან გვინდა გამოვყოთ ახალგაზრდა მწერალი რ. კეჭეყმაძე. ნაკლებმა საჭადრაკო პრაქტიკამ ბევრ შეხვედრაში მოახდინა გავლენა მის თამაშზე. სათანადო ვარჯიშის შემთხვევაში კეჭეყმაძე წარმატებას მიაღწევს.

ტურნირის საზეიმო დახურვას სამტრედიის საჭადრაკო სექციის თავმჯდომარე, რაიონულ გაზეთ „წინსვლის" რედაქტორი ვ. ნიკოლაიშვილი თავმჯდომარეობდა. პირველ სამ ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს დიპლომები და საჩუქრები გადაეცათ. ტურნირის საუკეთესო პარტიისთვის (შოგირაძესთან) საგანგებო ჯილდო მიიღო არჩვაძემ.

ნ. ხოროშკინი,

ნახევარფინალური ტურნირის მთავარი არბიტრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

სამტრედია.

თბილისში, საქართველოს მოჭადრაკეთა ოლიმპიური გუნდის შესარჩევ ტურნირში, ვაჟთა შორის მოასპარეზე ჭაბუკმა ოსტატობის კანდიდატმა ვ. ვეფხიშვილმა მოუგო ოსტატ თ. ლომაიას. ამ პარტიაში ვეფხიშვილმა ეტლის შეწირვით დალაშქრა მეტოქის მეფე. კრიტიკულ პოზიციაში ოსტატი უხეშად შეცდა და მისი გვირგვინოსანი დამამთდა.

აი პარტიაც:

ჰოლანდიური დაცვა

**ლომაია — ვეფხიშვილი**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. f3 c6 6. კe3 a6 7. c5 b5 8. a4 b4 9. მa2 a5 10. cd ed 11. მc1 0—0 12. მge2 ეe8 13. მფf2? ე:e4! 14. fe მg4+ 15. მფf3 ლh4 16. კf4? ლf2X.



# თქვენ როგორ ფიქრობთ?

დიაგრამაზე აღბეჭდილმა პოზიციამ (შავების მე-15 სვლის შემდეგ) ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გამოითქვა მოსაზრება: თეთრებს სწორად რომ ეთამაშათ, შავების იერიშს მოიგერიებდნენო.

ვეფხიშვილი ამტკიცებს, რომ კომბინაცია და იერიში სწორია, უპირატესობა მუდამ შავების მხარესაა. მაგალითად მას ასეთი ვარიანტები მოჰყავს:

16. მg1 მf2 17. კ:f2 ლg4+.

16. კg1 კh6 17. მg3 მe3 18. კ:e3 კg4+ 19. მფf2 კ:e3+ 20. მფ:e3 კ:d1.

16. g3 ლh5 17. მf4 მe5++.

16. h3 კh6 17. მf4 კ:f4 18. მფ:f4 მh2+ 19. g4 g5X.

თქვენ როგორ ფიქრობთ, მკითხველო? შეგვატყობინეთ თქვენი მოსაზრებები (ვარიანტები). საუკეთესო ვარიანტებს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოვაქვეყნებთ.

## შეხვედრა მშობლიურ ქალაქში

ახალგაზრდა ცხაკაიელი მოჭადრაკეები ამას წინათ თავიანთ საჭადრაკო კლუბში შეხვდნენ ცხაკაიის მკვიდრს, საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო ოსტატს გ. ნადარეიშვილს. ცნობილმა ეტიუდისტმა დამსწრეთ უამბო ჭადრაკის სამყაროს ახალი ამბები, ილაპარაკა საქართველოს მოჭადრაკეთა წარმატებებზე.

გ. ნადარეიშვილმა მშობლიური ქალაქის საჭადრაკო კლუბს, რომელსაც „მხედრული" ჰქვია, უსახსოვრა სპეციალური ლიტერატურა და ლამაზად შესრულებული კლუბის აბრა.

ე. ბუბუნავა

(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

# მსოფლიო რეკორდები

1972 წლის 15 თებერვლისთვის

## ტყვიის სროლა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| **ქალები** | | | |
| **მცირეკალიბრიანი შაშხანა** | | | |
| სტანდარტი 3×20 | 577 | მ. მაზიჩი (იუგოსლავია) | 1971 |
| | 577 | თ. რატნიკოვა (სსრ კავშირი) | 1971 |
| | 1717 | სსრ კავშირის ნაკრები | 1971 |
| წოლელა 60 გასრ. | 598 | ჰ. როლინსკა (პოლონეთი) | 1971 |
| | 1780 | პოლონეთის ნაკრები | 1971 |
| **პნევმატური შაშხანა** | | | |
| 60 გასროლა | 380 | მ. რისტერერი (გფრ) | 1969 |
| | 1113 | სსრ კავშირის ნაკრები | 1971 |
| **მცირეკალიბრიანი პისტ.** | | | |
| 60 გასროლა | 583 | დ. ნისკოვა (სსრ კავშირი) | 1971 |
| | 1741 | სსრ კავშირის ნაკრები | 1971 |
| **პნევმატური პისტ.** | | | |
| 40 გასროლა | 379 | ნ. სტოლიაროვა (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 1116 | სსრ კავშირის ნაკრები | 1971 |
| **ვაჟები** | | | |
| **არმიული შაშხანა** | | | |
| სტანდარტი 3×20 | 566 | ბ. მელნიკი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 566 | დ. ფოსტერი (აშშ) | 1970 |
| | 2227 | სსრ კავშირის ნაკრები | 1969 |
| **ნებისმიერი შაშხანა** | | | |
| სტანდარტი 3×40 | 1157 | ჰ. ანდერსონი (აშშ) | 1968 |
| | 4602 | აშშ-ს ნაკრები | 1966 |
| წოლელა 40 გასრ. | 400 | რ. პოიერი (ჩეხოსლოვაკია) | 1971 |
| | 1583 | სსრ კავშირის ნაკრები | 1966 |
| ჩოქელა 40 გასრ. | 392 | ვ. კორნევი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 1554 | სსრ კავშირის ნაკრები | 1969 |
| დგომელა 40 გასრ. | 377 | ჰ. ანდერსონი (აშშ) | 1964 |
| | 1478 | აშშ-ს ნაკრები | 1966 |
| **მცირეკალიბრიანი შაშხანა** | | | |
| სტანდარტი 3×20 | 579 | ჯ. რაიტერი (აშშ) | 1970 |
| | 2277 | სსრ კავშირის ნაკრები | 1965 |
| | 2277 | გფრ-ის ნაკრები | 1970 |
| სტანდარტი 3×40 | 1165 | ო. ლაპკინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 4632 | სსრ კავშირის ნაკრები | 1969 |
| წოლელა 40 გასრ. | 400 | ი. კურკა (ჩეხოსლოვაკია) | 1969 |
| | 400 | ვ. ვაიბელი (ავსტრია) | 1969 |
| | 400 | ვ. პარხიმოვიჩი (სსრ კავშირი) | 1971 |
| | 1587 | აშშ-ს ნაკრები | 1966 |
| | 1587 | ჩეხოსლოვაკიის ნაკრები | 1969 |
| ჩოქელა 40 გასრ. | 396 | ბ. კლინგნერი (გფრ) | 1968 |
| | 1557 | სსრ კავშირის ნაკრები | 1969 |
| დგომელა 40 გასრ. | 379 | ო. ლაპკინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 1494 | სსრ კავშირის ნაკრები | 1969 |
| წოლელა 60 გასრ. | 598 | დ. ბოიდი (აშშ) | 1966 |
| | 598 | ა. მაიერი (კანადა) | 1967 |
| | 598 | ი. კურკა (ჩეხოსლოვაკია) | 1968 |
| | 598 | ლ. ჰამერლი (უნგრეთი) | 1968 |
| | 598 | ჰ. გორევსკი (გდრ) | 1969 |
| | 598 | ვ. ვაიბელი (ავსტრია) | 1969 |
| | 598 | მ. ფისი (სამხ. აფრ. რესპ.) | 1970 |
| | 598 | ე. კერვინენი (ფინეთი) | 1970 |
| | 2380 | რუმინეთის ნაკრები | 1969 |
| | 2380 | ჩეხოსლოვაკიის ნაკრები | 1969 |
| **„გაქცეული ტახი"** | | | |
| 30×30 გასრ. | 566 | ჰ. ჰორდი (შვეცია) | 1971 |
| 20×20 გასრ. | 1439 | სსრ კავშირის ნაკრები | 1970 |
| **პნევმატური შაშხანა** | | | |
| დგომელა 40 გასრ. | 387 | ჰ. კუსტერმანი (გფრ) | 1970 |
| | 387 | ვ. რასკოვალოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| | 1524 | სსრ კავშირის ნაკრები | 1971 |
| დგომელა 60 გასრ. | 562 | ვ. ველიკოვიჩი (იუგოსლავია) | 1970 |
| **მცირეკალიბრიანი პისტ.** | | | |
| 50 მ. 60 გასრ. | 572 | გ. კოსიხი (სსრ კავშირი) | 1969 |
| | 2239 | სსრ კავშირის ნაკრები | 1969 |
| 25 მ. 60 გასროლა | 598 | ჯ. ლივერძანი (იტალია) | 1970 |
| | 2366 | ჩეხოსლოვაკიის ნაკრები | 1970 |
| სილუეტებზე 60 გასრ. | 582 | ლ. ფალტა (ჩეხოსლოვაკია) | 1969 |
| | 2276 | ჩეხოსლოვაკიის ნაკრები | 1969 |
| | 2276 | აშშ-ს ნაკრები | 1970 |
| **მსხვილკალიბრიანი პისტ.** | | | |
| 30+30 გასრ. | 597 | თ. სმითი (აშშ) | 1963 |
| | 2353 | აშშ-ს ნაკრები | 1971 |
| **პნევმატური პისტ.** | | | |
| 40 გასროლა | 387 | ვ. პეშეხონოვი (სსრ კავშირი) | 1968 |
| | 387 | ვ. სტოლიპინი (სსრ კავშირი) | 1971 |
| | 1516 | სსრ კავშირის ნაკრები | 1969 |
| | 1516 | ჩეხოსლოვაკიის ნაკრები | 1969 |
| 60 გასროლა | 566 | ი. დენისიუკი (სსრ კავშირი) | 1970 |

## სასტენდო სროლა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| **ქალები** | | | |
| **მრგვალი სტენდი** | | | |
| 150 სამიზნეზე | 147 | ლ. კორჩინსკაია (სსრ კავშირი) | 1970 |
| **ადგილიდან** | | | |
| 150 სამიზნეზე | 143 | ე. ფონ ზოდენი (გფრ) | 1969 |
| **ვაჟები** | | | |
| **მრგვალი სტენდი** | | | |
| 200 სამიზნეზე | 200 | ე. პეტროვი (სსრ კავშირი) | 1970 |
| გუნდური 600-დან | 587 | ჩეხოსლოვაკიის ნაკრები | 1969 |
| **ადგილიდან** | | | |
| 200 სამიზნეზე | 198 | ს. ბასანი (იტალია) | 1971 |
| გუნდური 600 დან | 579 | აშშ-ს ნაკრები | 1970 |

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ზედიზედ მესამედ

მოსკოვი, 15 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ხელბურთელ ვაჟთა გუნდების ზამთრის საკავშირო შეჯიბრების მეორე წრის მესამე ტურში თბილისელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს: ამ დღეს მათ დაამარცხეს ტაშკენტის „ბურევესტნიკი" — 21:18 (13:9). თავდაპირველად ჩვენებმა თამაში ვერ ააწყვეს, მაგრამ ეს სულ რაღაც ხუთიოდე წუთს გაგრძელდა. მერე თბილისელებმა თანდათან უპირატესობაც იგდეს ხელთ. განსაკუთრებით კარგად ითამაშეს მათ პირველ ტაიმში, როცა მეტოქეებს ძალიან სწრაფი ტემპი შესთავაზეს, მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ დაცვაშიც და შეტევის დროსაც. შესვენებისთვის ჩვენები 4 ქულით დაწინაურდნენ.

შესვენების მერე თბილისელები ერთგვარად თვითდაჯერებული გამოვიდნენ მოედანზე და კინაღამ დაისაჯნენ: მეტოქეებმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა (16:15). მაგრამ ამ ძნელ ვითარებაში თავი ისახელა ახალგაზრდა მეკარე კომახიძემ, რომელმაც გარდა იმისა, რომ ბევრჯერ პირისპირ გასულ მეტოქეებს კარის აღების საშუალება მოუსპო, ერთი 7-მეტრიანი საჯარიმოც მოიგერია. მატჩის ბოლო წუთები ჩვენი გუნდის წევრებმა კვლავ მაღალ ტემპში ჩაატარეს, რამდენიმე იერიში გოლით დააგვირგვინეს და ამ ტურნირში ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმეს. როგორც წინა შეხვედრებში, ამ მატჩშიც ჩვენი გუნდის მთავარი ბომბარდირი გახლდათ ცერცვაძე, რომელმაც 7 გოლი გაიტანა. გიორგი ბერიაშვილის ანგარიშზეა 6 გოლი, ფხაკაძემ სამჯერ აიღო კარი, ნარიმანიძემ—ორჯერ, ციცოჯერ მიაღწიეს მიზანს ექსეულიძემ, ვახტანგ ბერიაშვილმა და ხხეერელმა.

მესამე დღის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ცსკა — ზაპოროჟიეს მეტალურგიის ინსტიტუტი 15:15 (7:6), „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი 12:15 (9:8), „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — „კუნცევო" (მოსკოვი) 14:20 (8:8).

დღეს შეჯიბრების მონაწილენი ისვენებენ. თბილისელთა შემდეგი მატჩების განრიგი ასეთია: 16 თებერვალს ხვდებიან მოსკოვის „კუნცევოს", 17-ში — ზაპოროჟიეს მეტალურგიის ინსტიტუტის გუნდს, 18 თებერვალს ისვენებენ, 19-ში ხვდებიან მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს, ხოლო 20 თებერვალს — ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის".

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 10 | 7 | 2 | 1 | 182—166 | 16 |
| საავიაციო ინსტ. (მოსკოვი) | 10 | 7 | 0 | 3 | 201—158 | 14 |
| მეტალურგიის ინსტ. (ზაპოროჟიე) | 10 | 4 | 3 | 3 | 159—142 | 11 |
| „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) | 10 | 5 | 1 | 4 | 155—155 | 11 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 10 | 5 | 1 | 4 | 165—173 | 11 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 10 | 3 | 2 | 5 | 149—167 | 8 |
| ცსკა | 10 | 3 | 1 | 6 | 167—170 | 7 |
| „ბურევესტნიკი" (ტაშკენტი) | 10 | 1 | 0 | 9 | 162—209 | 2 |

სსრ კავშირის ჩემპიონატი




# წვეთი წყალივით ჰგავდა...

თბილისი. სპორტის სასახლე. 14 თებერვალი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 75:86 (30:38).

„ბურევესტნიკი": ალთაბაევი (გუნდს შესძინა 18 ქულა), ჩხიკვაძე (17), ბიჭიაშვილი (16), გლურჯიძე (11), ძიძიგური (11), პულავსკი (2), ფირცხალაიშვილი, კასრაძე.

„ჟალგირისი": ვენზბერგასი (23), ლინკევიჩიუსი (22), იურკშაიტისი (17), ჟუკაუსკასი (16), პატკაუსკასი (6), გედრაიტისი (2).

მსაჯები ვ. კასატიკოვი, ვ. კოსტინი (ორივე — მოსკოვი).

დუბლიორები—92:90 (44:45) „ბურევესტნიკის" სასარგებლოდ.

ისტორია არ მეორდებაო, ამბობენ. მაგრამ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვი შეგვეპარა, როცა საანგარიშო მატჩის საფინალო სასტვენის ხმა გაისმა. საქმე ის გახლავთ, რომ ორიოდე დღის წინ დინამოელთა შეხვედრა იმავე მეტოქესთან წვეთი წყალივით ჰგავდა ამ მატჩს.

საქმე მარტო წაგება როდია. შეიძლება და არცაა გასაკვირი, რომ მეტოქე გჯობდეს როგორც ტაქტიკურად, ისე ტექნიკურად და ამის გამო აგებდე. მაგრამ როცა უკვე გაქვს მაგალითი და საკმაოდ სამწუხარო, სათანადო დასკვნების გაკეთება უნდა შეძლო.

ვერ ვიტყვით, რომ ბურევესტნიკელებმა ალღო ვერ აუღეს მეტოქეს და თამაში სწორად ვერ ააგეს. მათ ვერც მონდომებას დავუწუნებთ, მაგრამ ოსტატობის მხრივ ისინი ჩამორჩებოდნენ მეტოქეს, განსაკუთრებით კალათში ტყორცნის დროს. ბურევესტნიკელებმა, ჩვენი აზრით, დაცვაში მეტოქეზე სუსტად ითამაშეს, ხოლო თავდასხმაში კაუნასელებზე ნაკლებ აგრესიული როდი იყვნენ. მათს წაგებაში არანაკლები როლი ითამაშა პულავსკის უქეიფოდ ყოფნამაც. იგი მთელი ძალით ვერ თამაშობდა, რამაც თბილისელების შეტევის აგრესიულობა რამდენადმე შეამცირა.

ერთი სიტყვით, კაუნასელებმა თბილისში 2 ქულა აიღეს და მტკიცედ დამკვიდრდნენ III ადგილზე, ბურევესტნიკელები კი ვერა და ვერ გასცილდნენ საშიშ ზონას.

ა. მხეიძე.

ამ დღეებში თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება ძიუდოში სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. კიკნაძის სახელობის პრიზზე. გთავაზობთ ამ შეჯიბრების ეპიზოდებს: ზევით, მარცხნივ — ვ. დვოინიკოვისა (ზემოდან) და დ. რუდმანის შეხვედრის მომენტი; მარჯვნივ — შ. ჩოჩიშვილი (ქვემოდან) ილეთს უკეთებს ფრანგ ჟ. რუჟეს (ა. კოტორაშვილისა და მ. ზარგარიანის ფოტოები).

ეს მეგობრული შარჟი კი გ. ფირცხალავამ დახატა. თქვენ ხედავთ ევროპის სამგზის აბსოლუტურ ჩემპიონს ა. კიკნაძეს.



### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 11 | 11 | 0 | 777—680 | 11 |
| ცსკა | 11 | 10 | 1 | 949—746 | 10 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 13 | 7 | 6 | 1013—980 | 7 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 10 | 6 | 4 | 716—653 | 6 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 10 | 5 | 5 | 780—774 | 5 |
| „კალევი" (ტარტუ) | 10 | 5 | 5 | 711—715 | 5 |
| „დინამო" (თბილისი) | 11 | 4 | 7 | 807—878 | 4 |
| ასკ (კიევი) | 11 | 3 | 8 | 731—825 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 11 | 3 | 8 | 756—832 | 3 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 10 | 0 | 10 | 676—848 | 0 |



როგორც ცნობილია, ამას წინათ პრაღაში გაიმართა კალათბურთელ ქალთა შორის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითი შეხვედრა ადგილობრივ „სლავიასა" და ლენინგრადის „სპარტაკს" შორის. ლენინგრადელებმა ამჯერადაც გაიმარჯვეს — 70:58.

ს უ რ ა თ ზ ე: თამაშის მომენტი.

ჩტკ — საკდესის ტელეფოტო.



ს უ რ ა თ ზ ე: მეტოქეთა კალათს უტევს ბიჭიაშვილი (№ 8).

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გეგმიანად, გამიზნულად...

ამ ზაფხულს ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც კიევში გაიმართება. ეს უაღრესად საპასუხისმგებლო შეჯიბრებაა და მზადებას დიდი ხანია შევუდექით.

შარშან მარტში შევარჩიეთ გუნდის კანდიდატები თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ცხაკაიასა და ზუგდიდის მოჭადრაკეთაგან. შევიმუშავეთ პერსპექტიული სამუშაო გეგმა, რომელიც მზადების ოთხ ეტაპს მოიცავს. დღეისთვის სამი ეტაპი უკვე განვლილი გვაქვს. ნორჩი მოჭადრაკეები თეორიაში მეცადინეობის პარალელურად აქტიურად მონაწილეობდნენ ტურნირებში, მატჩებში. აღსანიშნავია მათი გამარჯვება მოსკოვის, უკრაინის, მოლდავეთისა და რსფსრ-ს გუნდებთან ამხანაგურ მატჩში, წარმატება მოსწავლეთა საკავშირო გუნდურ პირველობაში (III ადგილი). ამ პერიოდში გუნდის შემადგენლობაც დაიხვეწა. ახლა კოლექტივში 16 მოსწავლე გვყავს.

იანვრიდან მზადების დასკვნითი ეტაპი დაიწყო. სამეცადინოდ გამოგვიყვეს ცენტრალური საჭადრაკო კლუბი, სადაც მოსწავლეები კვირაში ხუთჯერ იკრიბებიან. მწვრთნელებად მოწვეული გვყავს ოსტატები ი. ჩიქოვანი და თ. ლომაია. მუშაობა თავიდანვე გეგმიანად მიმდინარეობს.

ზამთრის არდადეგების პერიოდში გუნდის ხუთმა წევრმა მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ჩერნიგოვში გაიმართა. თავი ისახელეს ბათუმელმა ნ. ფურმანმა და თბილისელმა გ. მაჭარაშვილმა. პირველმა 24 გოგონას შორის III-VI ადგილები გაიყო, მეორემ — 36 ჭაბუკს შორის — IV-VI ადგილები.

მოწონება ხვდა მაჭარაშვილის თამაშს. მისმა პარტიამ მოსკოველ ვ. ჩეხოვთან საგანგებო ჯილდო დაიმსახურა თანმიმდევრული თამაშისთვის. აი, ეს პარტიაც:

ძველინდური დაცვა

**მაჭარაშვილი — ჩეხოვი**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. კe2 0—0 6. კg5 e5 7. d5 a6 8. a4 e6 9. ლd2 ed 10. ed ეe8 11. მf3 კg4 12. 0—0 მbd7 13. h3 კ:f3 14. კ:f3 მe5 15. კe2 ლa5 16. ლc2 h6 17. კd2 ლc7 18. f4 მd7 19. კd3 ეe7 20. ეae1 ეae8 21. ლd1 ლb6 22. ე:e7 ე:e7 23. b3 მფf8 24. კc2 მe8 25. ეfe1 ლd8 26. მფh2 მ7f6 27. ე:e7 ე:e7 28. g4 მd7 29. ლe1 ლ:e1 30. კ:e1 მ7f6 31. მფg3 მფe7 32. h4 მd7 33. კd2 კd4 34. მe2 კg7 35. a5 კf6 36. მg1 მg7 37. მf3 h5 38. g5 კb2 39. მh2 f5 40. მf3 მe8 41. მe1 მc7 42. მფf3 კg7 43. მd3 კd4 44. მc1 მa8 45. მe2 კg7 46. მg3 მფf7 47. კ:f8 გf 48. მ:h5 მe7 49. მg3 მe8 50. [illegible] 51. [illegible] f5 მf8 52. მფe4 კa1 53. მg3 მd7 54. h6 კb2 55. f5 მe5 56. მh5 კa1 57. h7 მd7 58. g6+ მფe7 59. კg5+ მფf8 60. კh6+ მფe7 61. მg7. შავები დანებდნენ.

საპრიზო ადგილის უდავო პრეტენდენტი იყო მ. წერეთელი, მაგრამ იგი ავად გახდა.

ამჟამად ნაკრების ზოგიერთი წევრი გულმოდგინედ ემზადება სსრ კავშირის მოჭადრაკეთა I ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის. გაზაფხულის არდადეგების დღეებში ჩვენი გუნდი ნალჩიკში რუსეთის ფედერაციის ნორჩ მოჭადრაკეებთან ამხანაგურ ოთხწრიან მატჩ-ტურნირში ითამაშებს.

**გ. მაჭავარიანი,**
**საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, ოსტატობის კანდიდატი.**



## ობიექტივში მსოფლიო

მთელი მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა, კრივის სპეციალისტები ინტერესით ელიან მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის „პირველი ხელთათმნის", ამერიკელი ჯო ფრეზერისა და ამ წოდების მანამდელი მფლობელის მუჰამედ ალის მატჩ-რევანშს მსოფლიო პირველობაზე. საქმე ძალიან ჩახლართულია და ჯერჯერობით კაცმა არ იცის, როდის და სად შედგება ეს მატჩი.

ამ სურათებზე სწორედ სამყაროს დღევანდელი ეს ორი უძლიერესი მოკრივეა აღბეჭდილი. ზედა ფოტოზე თქვენ ხედავთ ჯ. ფრეზერს ფილადელფიის ერთ-ერთი ტელეკომპანიის გადაცემის რეპეტიციაზე. მას „მეტოქეობას" უწევს ცნობილი ამერიკელი კომიკური კინომსახიობი ბობ ჰოუპი, რომელიც ახალგაზრდობაში მოკრივეც იყო. ჰოუპი და ფრეზერი მონაწილეობას იღებენ კრივისადმი მიძღვნილ იუმორისტულ ტელეგადაცემაში.

ქვედა სურათზე უკვე ნამდვილი კრივის მომენტია აღბეჭდილი. ფრეზერთან მატჩ რევანშის მოლოდინში მ. ალი სხვა საუკეთესო მოკრივეებთან აწყობს შეხვედრებს. ეს ფოტო გადაღებულია ჰიუსტონის (აშშ) რინგზე, როცა ალის უძლიერესმა დარტყმამ დააბარბაცა ჯიმი ელისი. ამ დარტყმის შემდეგ (ეს მოხდა მე-12 რაუნდში) ბრძოლა შეწყდა და 32 ათასი მაყურებელი გამაყრუებელი ყიჟინით მიესალმა ალის გამარჯვებას.

ასოშიეიტედ პრესის ფოტოები.



## რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში

**ლენინგორი**

ჩატარდა რაიონის პირადი პირველობა თხილამურებით რბენაში. 3 კილომეტრზე ასპარეზობაში გაიმარჯვა ლენინგორელმა მ. ბასილაშვილმა. 5-კილომეტრიან დისტანციაზე ფინიშთან პირველი მივიდა იკოთელი მ. ზანგურაშვილი. ქალთა შორის 3-კილომეტრიან მანძილზე რაიონის ჩემპიონი გახდა ქ. გვრიტიშვილი (იკოთი).

**მ. მელქოევი.**

## 50 წლის მოთამაშე

იუგოსლავიაში მოქმედ ფეხბურთელთაგან უხუცესია 50 წლის ვ. რისტიჩი, რომელიც უკვე 35 წელია თამაშობს. იგი ერთადერთი ვეტერანია ბელგრადის სტუდენტური კლუბ „ბუსკში" და წლოვანებით გუნდის მწვრთნელზეც ხნიერია.

● ●

## ყველაზე მეტი და ყველაზე ცოტა

ფიფა-ს უწყებებში ნათქვამია, რომ ევროპის ჩემპიონატის 95 შესარჩევ მატჩს 2.833.536 მაყურებელი დაესწრო. გულშემატკივართა ყველაზე მეტი რიცხვი ჰყავდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის გუნდების მატჩს — 92 ათასი. მეორე ადგილზეა ინგლისელთა შეხვედრა შვეიცარიელებთან ლონდონში — 90 ათასი. მერე მოდის სსრ კავშირისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრა მოსკოვში (81.700).

ყველაზე ცოტა მაყურებელი მალტისა და შვეიცარიის გუნდების შეხვედრაზე იყო — 1.739.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ●

## აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი

აფრიკის სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად ამ კონტინენტის № 1 ფეხბურთელად მიჩნეულია იბრაჰიმ სუნდაი. იგი განის „კოტოკოში" (კუმასი) თამაშობს და დიდი შედეგიანობით იპყრობს ყურადღებას.

● ●

## დობრინი — № 1

რუმინეთის საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეულია 24 წლის თავდამსხმელი ნ. დობრინი („ფკ არგესი"), რომლის გოლი ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კარში გადამწყვეტი გამოდგა. მან რუმინელები ევროპის პირველობის მეოთხედფინალში გაიყვანა.

II ადგილზეა დუმიტრუ („რაპიდი"), III — ლუპესკუ („რაპიდი").

## ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

### ინგლისი

თასის გათამაშების მეოთხე ტურში „მანჩესტერ იუნაიტედმა" სძლია II ლიგის გუნდს „პრესტონ ნორთ ენდს" (2:0), მაგრამ ჩემპიონატის ცხრილში მანჩესტერლები მხოლოდ IV ადგილზე არიან, ვინაიდან 4 დეკემბრიდან არც ერთი შეხვედრა არ მოუგიათ, ჩემპიონატის ბოლო ტურში კი XX ადგილზე მყოფ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან" დამარცხდნენ — 1:2.

აი, ლიდერთა ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ-სიტი" | 27 | 55:28 | 38 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 27 | 39:21 | 36 |
| „დერბი ქაუნთი" | 27 | 46:26 | 36 |
| „მანჩესტერ იუნაიტედი" | 27 | 51:36 | 35 |
| „არსენალი" (ლონდონი) | 27 | 41:27 | 33 |

### შოტლანდია

გლაზგოს „სელტიკი", რომელმაც XXIII ტურში ანგარიშით 2:1 სძლია „ჰიბერნიენს", კვლავ ლიდერობს. გლაზგოელთა ყველაზე საშიშმა მეტოქემ „აბერდინმა" შინ მოუგო „კილმარნოკს" — 4:2.

ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 23 | 72:18 | 42 |
| „აბერდინი" | 23 | 64:17 | 38 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 23 | 53:22 | 33 |

### საფრანგეთი

ჩემპიონატის XXIII ტური გოლებით უხვი გამოდგა: ათ შეხვედრაში გატანილი იქნა 38 ბურთი. გათამაშების ლიდერმა და ქვეყნის ჩემპიონმა — მარსელის „ოლიმპიკმა" შინ მოუგო ბორდოს „ჟირონდენს" — 3:0.

რეიმსში „სტად რეიმსმა" ფრედ ითამაშა ნიმის „ოლიმპიკთან" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიკი" (მარსელი) | 23 | 48:22 | 32 |
| „ოლიმპიკი" (ნიმი) | 23 | 47:20 | 30 |
| „სტად რენი" | 23 | 35:22 | 29 |

### გფრ

გათამაშების ლიდერმა „შალკე 04"-მა შინ მოუგო „ჰამბურგერ შპორტფერაინს" — 3:0. გოლები გაიტანეს ფიშერმა, შეერმა და ლიბუდამ.

ბრაუნშვაიგში ადგილობრივმა „აინტრახტმა" ქულა აართვა თასის მფლობელს — მიუნჰენის „ბაიერნს" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „შალკე 04" | 20 | 45:16 | 32 |
| „ბაიერნი" | 20 | 50:19 | 30 |
| „ბორუსია" | 19 | 52:22 | 27 |

### ჰოლანდია

ჩემპიონატის XXI ტურში ყველაზე შედეგიანი „ნაკ ბრედასა" და ამსტერდამის „აიაქსის" მატჩი გამოდგა: ამსტერდამელებმა მასპინძელთა კარში 5 გოლი გაიტანეს და მორიგი 2 ქულა მოიპოვეს — 5:2.

ჩემპიონმა — როტერდამის „ფეიენოორდმა" მაასტრიხტში აჯობა ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 21 | 50:13 | 39 |
| „ფეიენოორდი" | 21 | 46:11 | 35 |
| „სპარტა" (როტერდამი) | 21 | 46:22 | 29 |

### იტალია

გათამაშების ლიდერმა — ტურინის „იუვენტუსმა" შინ დაამარცხა „ვერონა" — 4:0. „ფიორენტინამ" ფლორენციაში აჯობა „მილანს" (2:0), ხოლო მილანის „ინტერნაციონალემ" ასევე შინ მოუგო I ლიგის დებიუტანტს — „კატანძაროს" — 1:0.

აი, ლიდერთა ოთხეული:

| | | | |
|---|---|---|---|
| „იუვენტუსი" | 17 | 32:15 | 26 |
| „მილანი" | 17 | 22:10 | 24 |
| „კალიარი" | 17 | 20:9 | 24 |
| „ინტერნაციონალე" | 17 | 33:13 | 23 |

### ესპანეთი

მადრიდში ადგილობრივმა „ატლეტიკომ" წააგო ბილბაოს „ატლეტიკოსთან" — 1:2. ორივე გოლი ბასკებმა ურიარტემ და არიეტამ გაიტანეს შესვენების შემდეგ.

ქვეყნის ჩემპიონმა „ვალენსიამ" სენსაციური მარცხის სიმწარე იწვნია ხიხონში: ადგილობრივმა „რეალმა", რომელიც X ადგილზეა, ჩემპიონის კარში 4 „მშრალი" ბურთი გაიტანა. ამასობაში ლიდერმა — მადრიდის „რეალმა" ვიგოში ფრედ ითამაშა ადგილობრივ „სელტასთან" (1:1) და ლიდერობა განიმტკიცა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" (მადრიდი) | 20 | 28:13 | 29 |
| „ვალენსია" | 20 | 30:18 | 25 |
| „მალაგა" | 20 | 19:18 | 23 |

### პორტუგალია

ლისაბონში შედგა XVIII ტურის ცენტრალური მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — ადგილობრივი „ბენფიკა" და სეტუბალის „ვიტორია". მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 18 | 48:8 | 33 |
| „ვიტორია" | 18 | 38:12 | 28 |
| „სპორტინგი" | 18 | 35:14 | 26 |

რედაქტორი მ. კაკაბაძე




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 880008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.